შპს „გენი“ ს/კ **454407446**

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გენი“, საიდენტიფიკაციო ნომერი 454407446, დარეგისტრირებულია საქართველოში, კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ელიავასა და გუდაუთის ქუჩების გადაკვეთაზე, დიდუბის ქვესადგურის მიმდებარედ. კომპანია დაფუძნებულია 11/10/2012 წ. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო სარემონტო მასალების რეალიზაცია. საზოგადოების დამფუძნებელი 11/10/2012-09/12/2019მდე იყო: თეონა ხარაბაძე, პ/ნ 37001014800 – 100% წილის მფლობელი, კომპანიის დირექტორია ნოდარ თავდგირიძე პ/ნ 61006007686. ხოლო 09/12/2019-დან კომპანიის დამფუძნებელი (100% მფლობელი) და დირექტორი გახდა ნოდარ თავდგირიძე (პ.ნ 61006007686).

წლის საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) 2024 წლის რედაქციის მიხედვით. საზოგადოებამ მსს ფასს პირველად გამოიყენა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს საზოგადოებას არ გაუკეთებია რაიმე სახის კორექტირება, იქიდან გამომდინარე, რომ მსს ფასს-ზე გადასვლას არ ჰქონდა არსებითი გავლენა საზოგადოების ფინანსურ ანგარიშგებაზე, არ მომხდარა აღნიშნულთან დაკავშირებით რეკონსილაცია. წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. საზოგადოება არ ფლობს ისეთ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ საზოგადოება განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2024 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით. საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. შპს „გენი“ სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარებში). ამონაგების აღიარება ორგანიზაციაში შემოსავლების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით, შემოსავლის მიღების უფლების მოპოვების შესაბამისად, შემოსავლების ფაქტობრივად მიღების მიუხედავად. კომპანიის შემოსავლები ძირითადად შედგება სამშენებლო სარემონტო მასალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისაგან. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები საზოგადოება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯს მიზნობრიობიდან გამომდინარე აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

3. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. ძირითადი საშუალების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა გახორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ძირითადი საშუალებების ცვეთა იანგარიშება შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ცვეთის ნორმას საწარმოს ხელმძღვანელობა განსაზღვრავს გონივრულობის ფარგლებში სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად: შპს „გენი“ სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარებში). ცვეთის დარიცხვის მეთოდად არჩეულია წრფივი მეთოდი, ხოლო საცვეთი პერიოდი ძირითადი საშუალებების, სატრანსპორტო საშუალებებისა და არამატერიაულური აქტივებისათვის განსაზღვრულია 10 წლით, ხოლო სხვა დანარჩენი ძირითადი საშუალებისათვის დადგენილია
5 წელი.

შენობა ნაგებობის ნაწილი არ აღირიცხება ფირმის ბალანსზე, რადგან წარმოადგენს იჯარას, ხოლო ნაწილი აღირიცხება ბალანსზე. საიჯარო გადასახადი აისახება წლის მოგება-ზარალში მთელი საიჯარო პერიოდის მანძილზე. იჯარა არის შეუქცევადი, რომლის დროსაც მოიჯარე

დაკავშირებულია აქტივის ფლობასთან და მომავალ პირობებთან, რომლის მიხედვითაც მოიჯარეს აქვს შესაძლებლობა გააგრძელოს იჯარის ხანგრძლივობა მომავალი გადასახდელების არსებობის ან არარსებობის შემთხვევაში, როდესაც იჯარის დაწყებისას მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ ვარიანტს. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში. საზოგადოება ძირითადი საშუალების ყოველდღიური საექსპლუატაციო მომსახურების დანახარჯებს აღიარებს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს დანახარჯები იყო გაწეული. ძირითადი საშუალებების ბალანსიდან მოხსნა ხდება, როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. ოპერაციის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით და აღიარდება მოგება ზარალში. აქტივების გაუფასურება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რამე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. შპს „გენი“ სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარებში). სასაქონლო-მატერიალური მარაგები სასაქონლო-მატერიალური მარაგების, რომლებიც გამოიყენება საქმიანობის პროცესში, ასახვა ხდება ბალანსზე შესაბამის ანგარიშზე კომპანიის საქმიანობის ადგილების მიხედვით ობიექტების შესაბამისად ქვეანგარიშების და კონკრეტული სმფ-სათვის ცალკე ანგარიშის გახსნის გზით. (ემყარება პერიოდის განმავლობაში შეძენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საშუალო შეწონილ თვითღირებულებას).

შპს „გენი“ სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარებში). მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ან შემოსავალი აღიარდება მოგება/ზარალში. რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებულია რისკების მართვის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას. კომპანიაში დანერგილია შიდა კონტროლის მექანიზმები, რითაც ვახორციელებთ გარკვეულ რისკებთან დაკავშირებულ პრევენციას და კონტროლს. კვალიფიციური კადრების შერჩევისთვის მოქმედებს სისტემა, რომელიც რამოდენიმე ეტაპადაა დაყოფილი: 1) ვაკანსიის გამოცხადება (მათ შორის ვებ გვერდის საშუალებით); 2) პირველადი შერჩევა CV-ს საშუალებით; 3) გასაუბრება; 4) შერჩეული კანდიდატების აყვანა გამოსაცდელი ვადით. მხოლოდ ამ ეტაპების გავლის შემდეგ ხდება კომპანიის შტატიანი თანამშრომელი. არსებული პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა მუდმივად ხდება სხვადასხვა ტრეინინგი/სემინარების საშუალებით. თითოეულ თანამშრომელს გაწერილი აქვს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები და ანგარიშვალდებულია მის უშუალო ხელმძღვანელთან. შესაბამისად ყველა არასტანდარტული შემთხვევა თანხმდება მასთან. შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც გამოიყენება შეცდომით გამოწვეული უზუსტობების აღმოსაჩენად, რეალიზაციის შემთხვევაში ფასების

ცვლილების შეზღუდვა პროგრამულად. ფინანსური მენეჯერის მხრიდან სპეციალური რეპორტებით კონტროლი სხვადასხვა ჭრილში. მაგ. თვითღირებულებაზე დაბალი ფასით ან დაბალი მარჟით გაყიდვების შემთხვევების გადამოწმება; მაღალი ფასით პროდუქციის შეძენის შემთხვევების გადამოწმება საკონტროლო შესყიდვებით ან ბაზრის წინასწარი შესწავლის გზით; 4) მარაგების პერიოდული ინვენტარიზაციები; 5) დებიტორ-კრედიტორებთან მოთხოვნა-ვალდებულებების კონტროლი; დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ. შპს „გენი“ სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარებში). ხარჯად აღიარება ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ფულადი სახსრები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებისგან. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება–ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში (საზოგადოების სამუშაო ვალუტა) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საზოგადოების ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. რისკ-ფაქტორები დებიტორული დავალიანებების ამოუღებლობის რისკები

ჩვენი კომპანია საქმიანობს მაღალკონკურენტულ გარემოში, მის წინაშე არსებულ მნიშვნელოვან რისკებს მიეკუთვნება სავალუტო და საკრედიტო რისკები. სავალუტო რისკი განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობისათვის, მათ შორის საქართველოსათვის დამახასიათებელი რისკია, რომლის წინაშეც დგას ყველა კომპანია. შპს „გენი“-ს მენეჯმენტი რეგულარულად ვაფასებთ აღნიშნული საბანკო პროდუქტის დანახარჯსა და სავალუტო კურსის მოსალოდნელი ცვლილების სავარაუდო პროცენტული მაჩვენებლის გავლენას კომპანიის მოგება-ზარალზე. შპს „გენი“ თავის საოპერაციო საქმიანობას აფინანსებს როგორც საკუთარი, ასევე საბანკო სესხით და შესაბამისად აქვს საკრედიტო რისკიც. სესხის აღებამდე შპს-ს

ხელმძღვანელი განიხილავს ქვეყნის წამყვანი ბანკების მიერ შემოთავაზებულ რამდენიმე წინადადებას და იღებს მათგან საუკეთესოს. მმართველობითი ანგარიშგების წარმოდგენაზე პასუხიმგებელია კომპანია.

5. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება
აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის დირექტორის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი ---------- ბ.ა. წოდარ თავდგირიძე პ/ნ 61006007686

6. ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

ფინანსური მდგომარეობა	**31/12/2024**	**31/12/2023**	**31/12/2022**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	275451	33700	137817
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	712666	608497	704922
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	362650	319379	0
მარაგები	3230899	3204250	3508358
მზა პროდუქცია	3197755	3175867	3469100
სხვა	33144	28383	39258
საინვესტიციო ქონება	0	0	1789573
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	5012	5012	5012
ძირითადი საშუალებები	1684205	2170333	98111
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	16567
სულ აქტივები	6270883	6341171	6260360
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	278900	257210	265600
სავაჭრო ვალდებულებები	829432	652213	754531
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	22303	17733	9964
საგადასახადო ვალდებულებები	0	7150	43906
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	254962	583159	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1130134	1505516	2266156
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	48389	92811	41025
სულ ვალდებულებები	2564120	3115792	3381182

დირექტორი: _____ ნოდარ თავდგირიძე პ/ნ 61006007686

საკუთარი კაპიტალი

	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3706763	3225379	2879178
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	3706763	3225379	2879178
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6270883	6341171	6260360
სულ მოკლევადიანი აქტივები	4581666	4165826	4368555
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	0	0	0

7. ანგარიშგება საქმიანობის შედეგების შესახებ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	**31/12/2024**	**31/12/2023**
ნეტო ამონაგები	6469484	4838779
საქონლის გაყიდვიდან	5794734	4838779
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	674750	0
გაყიდვების თვითღირებულება	-4172386	-3362288
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	2297098	1476491
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	61860
დასაქმებულთა ანაზღაურება	-684278	-578608
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-42670	-25679
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-135779	-138071
იჯარის ხარჯი	-212902	-153193
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-291191	-81251
სულ საოპერაციო ხარჯები	-1366820	-914942
საოპერაციო მოგება	930278	561549

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-59454	-215348
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	870824	346201
მოგების გადასახადის ხარჯი	-63125	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	807699	346201
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	807699	346201
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3225379	2879178
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-326315	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3706763	3225379
კვლევისა და განვითარების ხარჯები	0	0

დირექტორი: _____ ნოდარ თავდგირიძე პ/ნ 61006007686

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	**31/12/2024**	**31/12/2023**
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	241751	-104117
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	241751	-104117
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	33700	137817
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	275451	33700

დირექტორი: _____ ნოდარ თავდგირიძე პ/ნ 61006007686